ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 12

ქ. ლანჩხუთი **25.09.2024 წელი**
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე.
კომისიის წევრები: ვლადიმერ ნანაძე, გიორგი იმნაიშვილი, ალექსანდრე მახათაძე, კარლო კვიტაიშვილი, გიორგი ჩახვაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: კახაბერ ასკურავა, გოჩა ჯანაშია, გივი ცინცაძე.

კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2.სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.
მომხრე 6; წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი:.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის, 2024 წლის 18 სექტემბრის N08-302426210 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. აღნიშნული მოხსენებითი ბარათის თანახმად, განხორციელდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სოფელ აცანაში მდებარე 865 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, მასზედ განთავსებული 394 კვ.მ შენობა-ნაგებობისა (ს/კ 27.02.41.004) და სოფელ გულიანში

მდებარე 230 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება, რის გამოც აღნიშნული ქონება ამოღებული უნდა იქნას საპრივატიზებო ობიექტების ნუსხიდან და გეგმიდან.

მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის განმარტებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმას დაემატოს შემდეგი უძრავი ქონება:

ა) სოფელ სუფსაში მდებარე 2400 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებული 459 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.15.47.006) და მის საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 17 442 ლარი;

ბ) სოფელ ეწერზე მდებარე 3 848 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული N1 შენობა-ნაგებობა 340.10 კვ.მ ფართით (ს/კ 27.11.47.238) და მის საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 5000 ლარი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის დასკვნა №12

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 25 სექტემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 აპრილის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25.09. 2024 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	11 55	
2	ალექსანდრე მახათაძე	11 55	
3	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
4	გიორგი იმნაიშვილი	11 55	
5	ვლადიმერ ნანაძე	11 55	
6	გიორგი ჩახვაძე	11 55	
7	გივი ცინცაძე	არ ესწრებოდა	
8	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	
9	გოჩა ჯანაშია	არ ესწრებოდა	